ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33

ქ. თბილისი 20.12.2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ შემოქმედებითი საქართველო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირმა რატიანის** სახით და მეორეს მხრივ, შპს "კომპანია Geosm"-ს დირექტორი **თეიმურაზ ახობაძე,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად“, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც “მხარეები” ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV19640000, CPV39830000, CPV33760000) **სხვადასხვა სახის პროდუქციის** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1 შესაბამისად.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2.3 დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი, ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, სათანადოდ შეფუთული და სრული დოკუმენტაციის თანხლებით წარმოდგენილი საქონელი.
3.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს და პარამეტრებს.
3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2019 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით**.
3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. თბილისი ვ. დოლიძის ქუჩა, კორპ. №28.**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში
4.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **976.50** (ცხრაას სამოცდათექვსმეტი და .50) ლარს.
4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტი ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად
5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის გადაცემის შემდგომ, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, **10 სამუშაო დღის** ვადაში.
5.3 ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს **სახელმწიფო ბიუჯეტი, 2019 წლის** შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.
5.4 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი
5.5 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
5.6 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულებამ არ შეადგინა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული თანხა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსრულებელი კარგავს მოსაწოდებელი საქონლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.
6.3 საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,2%**-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **2%**-ის ოდენობით.

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.9 წინამდებარე საჯარიმო სანქციები არ გამოიყენება საგარანტიო შემთხვევის დადგომისას;

7. ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, მაღალი ხარისხის შესყიდვის ობიექტი, რომელიც უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო და საქართველოში არსებულ ხარისხის სტანდარტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ქარხნული ნაკლის აღმოფხვრა.

8. საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება–ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის გადაცემა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) მიწოდებულ საქონელზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.
8.3 საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს: სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ადმინისტრაციული მენეჯერი - **მანანა სალაძე.**

9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს დანართი №1 და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ, ჯეროვან ან სრულად შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
10.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
10.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
10.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ქვეპუნქტი.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1 . ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.
15.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

15.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ შემოქმედებითი საქართველო
საიდ.კოდი: 204583842
მის: ქ.თბილისი, ვ. დოლიძის ქ. კორპ. №28
სახელმწიფო ხაზინა
მობ: 591 093946

მიმწოდებელი:

შპს "კომპანია Geosm"
ს/კ: 404873614
სს ,, პროკრედიტ ბანკი''
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE45PC0223600100010827
მის: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14
ტელ: 2729119

დირექტორი

ი. რატიანი

LEPL CREATIVE GEORGIA

Digitally signed by LEPL CREATIVE GEORGIA
Date: 2019.12.20 16:51:55 +04'00'

დირექტორი

თ. ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.12.20 17:37:19 +04'00'

ხელშეკრულება №33
დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	CPV კოდები	აღწერა	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	დომესტოსი ფიჭვი (ორიგინალი) Domestos	39830000	1 ლიტრი, კოდი 94891	7	5.80	40.60
2	სამზარეულოს და სააბაზანოს საწმენდი საშუალება, Cif Active Lemon	39830000	Cif Active Lemon 500მლ, კოდი 44698	7	4.80	33.60
3	ჭურჭლის ჟელე FAIRY Fairy	39830000	900მლ, კოდი 36038	4	4.70	18.80
4	სამზარეულოს ღრუბელი Pro Service	39830000	10 ცალი შეკვრაში, კოდი 83711	2	3.80	7.60
5	მაგიდის ტილო Pro Service	39830000	30x38სმ 10 ცალი, კოდი 07710	5	5	25
6	შუშის საწმენდი ტილო - მიკროფიბრა	39830000	35x35სმ	10	1.60	16
7	ცოცხი	39830000	კოდი 0048	1	6	6
8	ცოცხი ჩინური	39830000	260026B	1	7.30	7.30
9	რეზინის ხელთათმანი	39830000	L Pro Service	6	3.60	21.60
10	დისპენსერის Z პირსახოცი "OPTIMUM"	33760000	2-ფენა FOCUS 250 ცალი, კოდი: 23356	32	2.55	81.60
11	ტუალეტის ქაღალდი Mini Jumbo FOCUS	33760000	150მ 12 ცალი, კოდი 30422	10	45.50	455
12	შუშის საწმენდი სითხე	39830000	Compact 500მლ, კოდი: 532550	3	3	9
13	ჰაერის აეროზოლი Compact ველური ოკეანე Compact	39830000	300მლ, კოდი 32871	3	3.60	10.80
14	თხევადი საპონი LOREMS	39830000	5 ლიტრი, კოდი 10839	2	14.50	29
15	ხის და ლამინირებული იატაკის მოსარეცხი სითხე ნუშის ზეთით Pronto	39830000	750მლ, კოდი 05295	7	9.70	67.90
16	დომესტოსი ციტრუსი (ორიგინალი) Domestos	39830000	1 ლიტრი, კოდი 25664	6	5.80	34.80
17	უნიტაზის საწმენდი სითხე იხვი ზღვის სურნელი Johnson & Johnson	39830000	500მლ, კოდი 00719	7	5.70	39.90
18	ნაგვის პარკი სახელურით,	19640000	60 ლიტრიანი, 10 ცალიანი Novax, კოდი 09446	10	3.95	39.50
19	ნაგვის პარკი LD Pro Service	19640000	70x110სმ 120 ლიტრი 20 ცალი, კოდი 26221	5	6.50	32.50
			საერთო ჯამი დღგ-ს ჩათვლით			**976.50**